წერილის ნომერი: **18-01241561541**
თარიღი: **04/06/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0124149659
წერილის თარიღი:	28/05/2024
განმცხადებელი:	გიორგი ბენდელიანი
განაცხადის N	AR11027915
მისამართი	ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა #14-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.03.004.065
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თანასაკუთრება
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველის თანხმობა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ ქვეპუნქტები; კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ ქვეპუნქტები; 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 32-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული **9 ძირი მწვანე ნარგავის** (ნეკერჩხალი #9-4-14 სმ; #10-12 სმ; #12-14 სმ; #32-30 სმ; #33-36 სმ; #34-28 სმ; #36-28 სმ; #37-27 სმ; კვიპაროსი #65-6,5 სმ) ***იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.***

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზენმელ, ხმობად, დაავადებულ, წვერხმელ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **2 ძირი ნარგავი ზენმელია** და მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს, **კვიპაროსის** (#63-5 სმ), **თუთის** (#66-41,5 სმ) ***მოჭრის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.***

ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 2 ძირი ნერგის დარგვა, რომლის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელ წინაპირობებში მითითებულ პირობებს.

საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

დასარგავი მცენარის სახეობა (ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა) უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **2 ძირი მწვანე ნარგავი** ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს, **ტეკომას** (#13-5,5 სმ) და **ძეძვის** (#62-2,5 სმ) ***მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის***

აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 120 (ას ოცი) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი- #300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე 32 ძირი მოსაჭრელი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავიდან, მხოლოდ 8 ეგზემპლარის დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს მათი (ლელვი #8; #15; #35; ტყემალი #11; #14; #26; #31; ალუბალი #16; #17; #19; #20; #21; #22; #23; #46; #47; #48; #49; #54; #58; ჭერამი #18; #25; #52; კომში #24; ასკილი #27; #28; #29; #38; #64; ქლიავი #45; #61; ნუში #30) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის გათვალისწინებით, აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი. **აქედან გამომდინარე, სამსახურს საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის სამშენებლოდ განვითარება, რომელზეც ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი, ასევე, მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა დაუშვებლად მიაჩნია.**

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს

ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

განსათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შპს „ ეკო გარემო“



ხის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია

შპს "ეკო გარემო"

16.04.2024

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველასგამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71
Email: mziajikia@mail.ru; ecogaremo@gmail.com

1. ზოგადი ნაწილი

მერქნიანი მცენარეები გვხვდება ხეებისა და ბუჩქების სახით.

ხე-ხანგძლივად მცხოვრები მცენარე, რომელსაც აქვს მრავალწლოვანი გახევებული ღერო და ფესვები ბუჩქისგან განსხვავებით. ხის ღერო (შტამბი) და ვარჯი ყოველთვის მკვეთრად გამოხატულია.

ბუჩქი-ტანდაბალი მრავალწლოვანი მერქნიანი მცენარე, რომელიც ხეებისაგან განსხვავებით ნიადაგის ზედაპირიდანვე ძლიერედ იტოტვება და მკვეთრად გამოხატული მთავარი ღერო არ აქვს.

ხე- ფოთლების მიხედვით იყოფა **წიწვოვან** და **ფართოფოთლოვან** სახეობებად. პირველი გამოირჩევა უხეში მარადმწვანე ნემსისებრი ანქერცლისებრი ფოთლებით. ფართო ფოთლოვანი ხეებისთვის დამახასიათებელია ფართო და ბრტყელი ფოთლები, რომლებიც ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ ცვივა

ფოთლების კლასიფიკაციის გარდა ხეები იყოფა აგრეთვე **ფოთოლმცვენ** და **მარადმწვანე** ჯგუფებად.

ხეების ძირითადი ნაწილებია: **ფესვი, ღერო, ვარჯი, ფოთოლი.**

1. **ფესვი** — ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების შეწოვება ნიადაგიდან, მცენარის მიმაგრება ნიადაგზე, მთელ რიგ ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი.

2. **ღერო** —ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც ფოთლებთან ერთად ყლორტს შეადგენს. აქვს საყრდენი, გამტარი, დამგროვებელი ფუნქციები.

3. **ვარჯი** —ხის ტანის მიწის ზედა განშტოება. სხვადასხვა სახეობის ხეებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმის ვარჯი აქვთ.

4. **ფოთოლი**-უმაღლეს მცენარეთა ორგანო, რომელიც ასრულებს ფოტოსინთეზის და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში.

2. ხე-მცენარეების გადარგვა

ხეების გადარგვა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და ეს ეხება ყველა ზომის ხეებს, მათ შორის დიდ და ასაკოვან ხეებს.

სხვადასხვა ზომისა თუ სახეობის ხის გადარგვა უკვე პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან არსებობს სპეციალური ტექნიკა და გადამზიდი მანქანა-მექანიზმები, რაც საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ მწვანე საფარი.

ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს მნიშვნელოვანია ურბანულ სივრცეში არსებული მწვანე საფარის შენარჩუნება და გაზრდა,

ამიტომ ტერიტორიაზე, სადაც მწვანე ნარგავების დაზიანების ალბათობა დიდია, საუკეთესო საშუალებაა გამოვიყენოთ ხეების მეთოდი.

დიდი ხეების გადარგვის რამდენიმე მეთოდი არსებობს,რითაც მნიშვნელოვნად ხანგძლივდება მცენარეთა გადარგვის ვადები. ესენია :

1. მიწის კომით ხის გადარგვა;
2. ანტიტრანსპირანტების გამოყენებით;
3. დეფოლიანტების გამოყენებით;
4. მაცივრებში სარგავი მასალის შენახვით.

დღეისობით ყველაზე მეტად გავრცელებულია ხეების გადარგვა მიწის კომით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რაც უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კომში ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელი.

ხე-მცენარეების გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება უნდა მოხდეს ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდი ზომის ხეების გადარგვისას მიწის კომის და მასთან ერთად ფესვთა სისტემის შესანარჩუნებლად გამოიყენება სხვადასხვა შესაფუთი საშუალება: ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის კონსტრუქციები, ჭილოები და სხვა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პერიოდში.

3.ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე, სარგავის ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

4. ხის ნიადაგიდან ამოღება

დიდი ზომის ხის ნიადაგიდან ამოღება ხდება :

- 4.1 სპეციალური ხის გადასარგავი მექანიზმით : ტიპიური მექანიზმი შედგება რამდენიმე რიგი ნიჩბებისაგან, რომელიც გარშემოერტყმება ხეს და ახდენს მის გარშემო წრიულად ჩაბარვას. შემდეგ ხდება მისი ნიადაგიდან ამოღება ხის ფესვებთან და მიწის კომთან ერთად.

შპს "ეკოგრინი"

- **4.2 ხის გადარგვა ესკავატორისა და ამწეს დახმარებით**: თავდაპირველად უნდა მოხდეს მიწის კომის მოჭრა, რომელიც დამოკიდებულია ხის ჯიშზე, ნიადაგის სიმკვრივეზე და ფესვთა სისტემის განვითარებაზე, მაგალითად :
  10-15 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას კომი შემდეგი პროპორციით : 0.9 -1.0 x0.9-1.0x0.5 მ.
  16-20 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას 1.5-1.7 x1.5-1.7x0.6 მ.
  21-25 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას 1.2-1.4 x 1.2-1.4 x 0.7 მ.
  უფრო მოზრდილი ხეებისთვის 2.0 x 2.0 x 0.8მ.

ყუთში შესაფუთი მცენარის ირგვლივ 50-60 სმ სიგანის არხი უნდა შემოიჭრას. არხი 10-15 სმ-ით უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ამოსაღები კომის ძირია, ოთხკუთხი კომი მიწის ქვედა ნაწილი, ყუთის ზედა ნაწილთან შედარებით 15-25 სმ-ით უფრო ვიწრო უნდა იყოს.

კომს გვერდებზე უნდა შემოეწყოს 3-6 სმ სისქის ფიცრები, შემოიჭედოს ფრთხილად და მსხვილი მავთულით ჯვარეიდან ოთხ ადგილას შეიკრას.კომსა და ყუთის კედლებს შორის სიცარიელე ფხვიერი მიწით უნდა ამოივსოს.

შეფუთული მცენარე ავტოამწეს კაუჭზე იმგვარად უნდა გამოებას, რომ ყუთი და მცენარის ღერო ოდნავ გვერდზე გადაწეულ მდგომარეობაში იყოს.

ამოთხრის წინ ხეს უნდა შეეჭრას დაზიანებული და ხმელი ტოტები, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში ფესვთა სისტემის უკეთესი ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა მოხდეს მცენარის ტოტების მაქსიმალურად შეკვეცა.

აწევისას მცენარე იღებს ჰორიზონტალურ მდგომარეობას და ასევე დაწოლილი უნდა მოთავსდეს მანქანის ძარაში ან სპეციალურად კონსტრუირებულ ურიკა-ფორანზე. მანქანიდან ყუთში შეფუთული მცენარის გადმოღებისას გვარლი ყუთს ისე უნდა შეებას, რომ ხე ვერტიკალურად აიწიოს. იმ შემთხვევაში თუ მცენარის ზედა ნაწილი უფრო მძიმეა და დასძლევს ყუთს, საჭიროია ხის ღეროს თოკი მოებას და მოვსდოთ კაუჭს, რაც მცენარეს მისცემს ვერტიკალურ მდგომარეობას.

მოზრდილი ხის დასარგავ ადგილას ორმოს თხრიან იმ ვარაუდით, რომ კომი მიწასა და ორმოს ნაპირებს შორის დარჩეს თავისუფალი სულ მცირე 50 სმ სიგანის ადგილი, ხოლო სიღრმეში 30-50 სმ. ფსკერზე ყრიან ფხვიერ ნოყიერ მიწას, რადგან ახლად დარგული ხე ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ მაღლა უნდა იყოს (დაჯდომის შემთხვევისათვის). ორმოში ფრთხილად უნდა ჩავუშვათ ყუთი და მოვაცალოთ გვერდის ფიცრები, ხოლო ფსკერის

ფიცრები მიწაში რჩება, რომელიც 1-3 წლის განმავლობაში ჩალპება და ხელს არ შეუშლის ფესვის განვითარებას. თუ ნიადაგი ფხვიერა და იშლება, ყუთის გვერდების შემოცლა არ არის საჭირო, ასეთ შემთხვევაში ფიცარი უნდა დაიხვრიტოს ბურღით რამდენიმე ადგილას.

ორმოში მოთავსებულ მცენარეს შემოეყრება შეზავებულ ფხვიერ მიწა, მაგრად შემოეტკეპნება ირგვლივ კომის მიწის შეუხებლად და აივსება ყველა ცარიელი ადგილი, რაც უზრუნველყოფს კონტაქტს ფესვთა სისტემასა და ნიადაგს შორის.

5. გადარგვის შემდგომი მოვლა

5.1 გადარგულ ხე ჭარბად ირწყვება, რომ მიწით ამოივსოს სიცარიელე. ხის ღეროს მისი სიმაღლის ნახევარზე ზემოთ, შემოეხვევა ქეჩა და მსხვილი თოკით ან მავთულით ნიადაგში ოთხ ადგილას დამაგრდება.ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

5.2 გადარგვის შემდგომ მცენარის გახმობის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს დაევალება საკომპენსაციო რგვის განხორციელება და ნარგავების მოვლის სამუშაოების სამწლიანი ვადის ათვლა ხელახლა იწყება ამ რგვების ჩატარების მომენტიდან

5.3 ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ერთჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია კომის მოცულობაზე.

5.4 დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვან ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება.

5.5 ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა. მინერალური სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი მინერალური სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად).

5.6 ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის შხამ-ქიმიკატების გამოყენება სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

გადასარგავი ხე-მცენარეები

მისამართი: ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა , N 14-ის მიმდებარედ;
საკადასტრო კოდი: 01.11.03.004.065;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება:არასასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 3066.00 კვ.მ;
მესაკუთრეები: ავთანდილი გეგენავა, P/N: 39001037485;
ლაშა ბუცხრიკიძე, P/N: 01024013640;
ხათუნა ავსაჯანიშვილი,P/N: 01004010478;

ტერიტორიაზე არსებული გადასარგავი მცენარე 5 ძირი:

5 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)
N32 დ.30. სმ; სიმაღლე 8 მ.
N33 დ.36. სმ; სიმაღლე 8 მ.
N34 დ.28. სმ; სიმაღლე 7 მ.
N36 დ.28. სმ; სიმაღლე 8 მ.
N37 დ.27. სმ; სიმაღლე 7 მ.

მახასიათებლები აღებულია შპს „ეკოგარემო“-ს მიერ 01.04.2024 წ. მომზადებული საექსპერტო დასკვნიდან.

გადარგვა განხორციელდება იმავე საკადასტრო ერთეულში, აღნიშნული მცენარის დიამეტრის, სიმაღლის და მდებარეობის გათვალისწინებით გადარგვა შესაძლებელია #4.2 მეთოდის გამოყენებით.(ექსკავატორისა და ამწეს გამოყენებით).

ნეკერჩხალი (Acer) — მცენარეთა გვარი საპინდუსისებრთა[1] ოჯახისა. 5-40 მ სიმაღლის ერთ-, ორ- ან მრავალსახლიანი (პოლიგამური) ფოთოლმცვივანი ხეები ან ბუჩქებია.

შეიცავს 150-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკასა და ზონდის არქიპელაგის კუნძულებზე, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის პირობებში, ნოყიერ და დაწრეტილ ნიადაგებზე. ზოგი ეგუება ნიადაგის სუსტ დამლაშებას. უმეტესად მეზოფილური და ყინვაგამძლე მცენარეებია, ნაწილობრივ — ქსეროფიტები. კავკასიაში 11 სახეობაა, მათგან საქართველოში — 9.

ჩვენში ნეკერჩხალი გავრცელებულია დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე, უმრავლესობა — მთის შუა და ზემო სარტყლამდე. შერეულია ფოთლოვან და წიწვოვან (უფრო ნაკლებად) ტყეებში.

საქართველოში ინტროდუცირებული სახეობებიდან ამ მხრივ პერსპექტიულია ჩრდილოეთ ამერიკის წითელი ნეკერჩხალი (ლათ. Acer rubrum), შაქრის ნეკერჩხალი (ლათ. Acer saccharum), იფანფოთოლა ნეკერჩხალი (ლათ. Acer negundo) და სხვა. აღმოსავლეთ აზიური ნეკერჩხალი „გინალა“ (ლათ. Acer ginnala), თათისებრი ნეკერჩხალი (ლათ. Acer palmatum) და სხვა. ნეკერჩხალის მერქანი მკვრივი, გამძლე და მაგარია, კარგად პრიალდება.

თაფლოვანი მცენარეებია. ამრავლებენ თესლით, ბაღურ ჯიშებს — მყნობით. კალმები ძნელად ფესვიანდება. უხვად ივითარებს ძირკვის ამონაყარს.

.

შპს „ეკო გარემო“-ს დირექტორი / მ. ჯიქია/

16.04.2024 წ.

თანხმობა მომსახურების გაწევაზე

ავთანდილი გეგენავას, P/N: 39001037485;
ლაშა ბუცხრიკიძეს, P/N: 01024013640;
ხათუნა ავსაჯანიშვილს,P/N: 01004010478;

მოგახსენებთ, რომ შპს „ ეკო გარემო“ თანახმაა განახორციელოს თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა , N 14-ის მიმდებარედ;ს/კ: 01.11.03.004.065;დიდტანოვანი ხეების გადარგვითი სამუშაოები მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში, თანდართული ხეების გადარგვის მეთოდოლოგიითა და შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

გადარგვა განხორციელდება იმავე საკადასტრო ერთეულში.

ტერიტორიაზე არსებული გადასარგავი 5 ძირი ხე-მცენარე :

5 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)
N32 დ.30. სმ; სიმაღლე 8 მ.
N33 დ.36. სმ; სიმაღლე 8 მ.
N34 დ.28. სმ; სიმაღლე 7 მ.
N36 დ.28. სმ; სიმაღლე 8 მ.
N37 დ.27. სმ; სიმაღლე 7 მ.

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"

N 61
01.04.2024 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა , N 14-ის მიმდებარედ;
საკადასტრო კოდი: 01.11.03.004.065;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 3066.00კვ.მ;
მესაკუთრე (ები) : ავთანდილი გეგენავა, P/N: 39001037485;
ლაშა ბუცხრიკიძე, P/N: 01024013640;
ხათუნა ავსაჯანიშვილი,P/N: 01004010478;

2024 წლის 26 მარტს ავთანდილ გეგენავას, P/N: 39001037485, ლაშა ბუცხრიკიძის, P/N: 01024013640, და ხათუნა ავსაჯანიშვილის,P/N: 01004010478, მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა, საკადასტრო კოდი: 01.11.03.004.065, მიწის ნაკვეთზე არსებული **66** ძირი ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში. (N 1)

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

ცხრილი N 1

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	თუთა (Morus)	36	7.0	საღი	
2	ამერიკული ნეკერჩხალი	5.-8	3.0	საღი	მრავალღეროიანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
3	ამერიკული ნეკერჩხალი	11	2.5	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
4	ამერიკული ნეკერჩხალი	18	3.5	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
5	ამერიკული ნეკერჩხალი	22	3.0	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
6	ნუში ჩვეულებრივი (Amygdalus communis)	23	4.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
7	ტყემალი (prunus cerasifera)	11	3.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება

შპს "ეკო გარემო"

8	ლეღვი (Ficus carica)	26	4.0	საღი	ხილკენკროვანი,მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
9	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	4.-14	3.5	საღი	ორკაპა,შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
10	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	12	5.0	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
11	ტყემალი (prunus cerasifera)	10	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
12	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	14	5.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
13	კამპსისი, ტეკომა (Campsis radicans)	5.5		საღი	ბუჩქი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
14	ტყემალი (prunus cerasifera)	9	3.5	ზეხმელი	ხილკენკროვანი
15	ლეღვი (Ficus carica)	11.5	2.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
16	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	13	4.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
17	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	11	4.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
18	ჭერამი ჩვეულებრივი (Prúnus armeníaca)	20	5.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
19	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	10	4.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
20	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	12	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
21	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	8	4.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
22	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	23	2.0	ზეხმელი	ხილკენკროვანი
23	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	16	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
24	კომში (Cydonia)	24.5	4.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
25	ჭერამი ჩვეულებრივი (Prúnus armeníaca)	38	6.0	საღი	ხილკენკროვანი

შპს "ეკო ბანდარი"

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

26	ტყემალი (prunus cerasifera)	8.5	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
27	ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina)	2.5	1.5	საღი	ხილკენკროვანი,მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
28	ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina)	3.5	1,5	ზეხმელი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი
29	ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina)	4	1,6	საღი	ხილკენკროვანი,მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
30	ნუში ჩვეულებრივი (Amygdalus communis)	13	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
31	ტყემალი (prunus cerasifera)	14	3.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი,შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
32	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	30	8.0	საღი	შესაძლებელია სპეც,ტექნიკით გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
33	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	36	8.0	საღი	შესაძლებელია სპეც,ტექნიკით გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
34	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	28	7.0	საღი	შესაძლებელია სპეც,ტექნიკით გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
35	ლეღვი (Ficus carica)	32	3.0	ზეხმელი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი
36	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	28	8.0	საღი	შესაძლებელია სპეც,ტექნიკით გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
37	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	27	7.0	საღი	შესაძლებელია სპეც,ტექნიკით გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
38	ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina)	2.5	1.5	საღიტ	ხილკენკროვანი,მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
39	თუთა (Morus)	58	9.0	საღი	
40	ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo)	38	6.5	საღი	
41	ტყემალი (prunus cerasifera)	8.5	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
42	ტყემალი (prunus cerasifera)	6.5	3.5	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება

შპს "ეკო გარემო"

43	ტყემალი (prunus cerasifera)	50	7.0	საღი	ხილკენკროვანი
44	ჭერამი ჩვეულებრივი (Prúnus armeníaca)	42	7.0	საღი	ხილკენკროვანი
45	ქლიავი (Prunus domestica)	16	0.5	ზეხმელი	კუნძი, ხილკენკროვანი
46	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	9	3.0	ზეხმელი	ხილკენკროვანი
47	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	7	0.5	ზეხმელი	კუნძი, ხილკენკროვანი
48	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	6	0.3	ზეხმელი	კუნძი, ხილკენკროვანი
49	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	3.5	2.5	ზეხმელი	ხილკენკროვანი
50	ტყემალი (prunus cerasifera)	20	4.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
51	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	14	3.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
52	ჭერამი ჩვეულებრივი (Prúnus armeníaca)	8	2.5	ზეხმელი	ხილკენკროვანი
53	წითელი ტყემალი (prunus cerasifera)	27	5.0	საღი	ხილკენკროვანი
54	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	7	3.0	ზეხმელი	ხილკენკროვანი, წაქცეული
55	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	17	5.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
56	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	15	5.0	საღი	ხილკენკროვანი, შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
57	კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia)	19.5	6.0	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
58	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	16	1.5	ზეხმელი	ხილკენკროვანი
59	ფორჩუნის ტრახიკარპუსი (პალმა) (Trachyracarpus fortunei)	12	1.0	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
60	ალუბალი (Prúnus subg. Cérasus)	10	3.0	საღი	ხილკენკროვანი,,შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
61	ქლიავი (Prunus domestica)	6.5	2.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი,შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება

"ეკო გარემო"

62	ძეძვი ჩვეულებრივი (Paliurus spina-christi)	2.5	1.5	საღი	ბუჩქი,მრავალღეროიანი,შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
63	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus horisontalis)	5	2.0	ზეხმელი	
64	ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina)	1.5	1.5	საღი	ხილკენკროვანი,მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
65	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus horisontalis)	6.5	3.0	საღი	შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
66	თუთა (Morus)	41.5	0.5	ზეხმელი	კუნძი

ტერიტორიაზე არსებული 66 ძირი მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით:

ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 18 ძირი, მათ შორის:
მაღალი ღირებულების ჯგუფის 1 ძირი:
- 1 ძირი კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia) N 57;

დაბალი ღირებულების ჯგუფის 17 ძირი:;
- 3 ძირი თუთა (Morus) N 1, 39, 66;
- 13 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი (Acer rubrum) N 2, 3, 4, 5, 9, 10, 12, 32, 33, 34, 36, 37, 40;
- 1 ძირი ფორჩუნის ტრახიკარპუსი (პალმა) (Trachyracarpus fortunei)N 59;

წიწვოვან სახეობათა ხე-მცენარე 2 ძირი:
დაბალი ღირებულების ჯგუფის 2 ძირი:
- 2 ძირი ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis) N 63, 65;

ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარე 44 ძირი, მათ შორის:
- 2 ძირი ნუში ჩვეულებრივი (Amygdalus communis) N 6, 30;
- 9 ძირი ტყემალი (prunus cerasifera) N 7, 11, 14, 26, 31, 41, 42, 43, 50;
- 3 ძირი ლეღვი (Ficus carica) N 8, 15, 35;
- 17 ძირი ალუბალი (Prúnus subg. Cérasus) N 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 46, 47, 48, 49, 51, 54, 55, 56, 58, 60;
- 1 ძირი კომში (Cydonia) N 24;
- 4 ძირი ჭერამი ჩვეულებრივი (Prúnus armeníaca) N 18, 25, 44, 52;
- 5 ძირი ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina) N27, 28, 29, 38, 64;
- 2 ძირი ქლიავი (Prunus domestica) N 45, 61;
- 1 ძირი წითელი ტყემალი (prunus cerasifera) N 53;

ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა მცენარე 2 ძირი, მათ შორის:
- 1 ძირი კამპსისი, ტეკომა (Campsis radicans)N 13;
- 1 ძირი ძეძვი ჩვეულებრივი (Paliurus spina-christi) N 62;

ტერიტორიაზე აღრიცხული 66 ძირი ხე-მცენარიდან:
ზეხმელია: 14 ძირი ხე-მცენარე:
- 1 ძირი ტყემალი (prunus cerasifera) N 14;

შპს "ეკოგარემო"

- 7 ძირი ალუბალი (Prúnus subg. Cérasus) N 22,46, 47, 48, 49, 54, 58;
- 1 ძირი ასკილი, ველური ვარდი (Rosa canina) N 28;
- 1 ძირი ლეღვი (Ficus carica) N 35;
- 1 ძირი ქლიავი (Prunus domestica) N 45;
